



# ენერგოდაიჯესტი

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

ანალიტიკური დეპარტამენტი

16.06.2014

№ 22

# სარჩევი

საქართველო.....	3
გარდაზნის შერეული ციკლის თბოელექტროსადგურის ტერიტორიაზე გაზის ტურბინების მონტაჟი დაიწყო .....	3
ევრობანკი საქართველოში კომპრესირებული ბუნებრივი აირის გაზგასამართი სადგურების ინფრასტრუქტურის გაფართოებას დააფინანსებს .....	4
2014 წლის მაისის თვის ანგარიშსწორების მაჩვენებლები .....	6
რეგიონი .....	7
სომხეთში ელ.ენერჯის ტარიფი ძვირდება .....	7
აზერბაიჯანში ნავთობისა და გაზის კონდენსატის მოპოვება 18 მლნ ტონას აღწევს .....	8
თურქეთის ენერჯეტიკის მინისტრის განცხადებით, ირანის მიერ ბუნებრივ აირზე ფასდაკლება არ არის საკმარისი.....	9
რუსეთის ფედერაცია და პოსტსაბჭოთა ქვეყნები .....	10
მოსკოვი, კიევი და ბრიუსელი რუსული გაზის საკითხს იხილავენ.....	10
რუსეთი ბირთვული ენერჯის გაფართოებას გეგმავს .....	11
Uzbekneftegaz-ი გაზის 2 ახალ საბადოს ხსნის .....	12
ევროპა .....	12
2020 წლისთვის ფრანგული ბირთვული ენერჯია განახლებადებზე ძვირი იქნება.....	12
Gazprom-ი ლიტვაში წილების გაყიდვაზე თანახმაა.....	13
ზაფხულში ევროკავშირი იძულებული იქნება, განახლებადი ენერჯის გენერაცია შეამციროს.....	15
მსოფლიო.....	15
2013 წელს კანადამ რეკორდული სიმძლავრის ქარის ტურბინები დაამონტაჟა.....	15
ერაყში დამაბულობის გამო ნავთობის ფასი იზრდება.....	16
ანალიტიკა .....	17
რამდენ ენერჯიას მოიხმარს 2014 წლის მსოფლიოს თასი ფეხბურთში? .....	17

## გარდაბნის შერეული ციკლის თბოელექტროსადგურის ტერიტორიაზე გაზის ტურბინების მონტაჟი დაიწყო

230 მგვტ სიმძლავრის კომბინირებული ციკლის თბოელექტროსადგურის ტერიტორიაზე General Electric-ის გაზის ტურბინების მონტაჟი დაიწყო. მშენებლობის პროცესი მთავრობის წევრებმა, პარლამენტარებმა, თურქეთიდან მოწვეულმა სტუმრებმა და შესაბამისი დარგის ექსპერტებმა დაათვალიერეს. სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ სტუმრებისთვის პრეზენტაცია „გარდაბნის თბოსადგურის“ დირექტორმა ლაშა მგელაძემ წარადგინა.

გარდაბნის 230 მგვტ. დადგმული სიმძლავრის კომბინირებული ციკლის თბოელექტროსადგურის მშენებლობა რამდენიმე თვეა აქტიურად მიმდინარეობს. თბოელექტროსადგურის ექსპლუატაციაში შესვლა 2015 წლისთვის არის დაგეგმილი. თბოელექტროსადგურის პოტენციური გამომუშავება 1.8 მილიარდი კვტ.სთ-ის ტოლია. თუ ქვეყნის ენერგეტიკულ სისტემას შეექმნა გარკვეული პრობლემა, იგი უმოკლეს



ვადებში უზრუნველყოფს სისტემის ელექტროენერჯით უწყვეტ მომარაგებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში.

„საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ გენერალური დირექტორი დავით თვალაბეიშვილი

განმარტავს: „კორპორაცია გარდაბნის თბოელექტროსადგურში 51%-ის მფლობელია. როგორც დღეს შევიტყვეთ, სამუშაოები გრაფიკის წინსწრებით მიმდინარეობს, ჩამორჩენა არ გვაქვს. შესაბამისად, თბოელექტროსადგური გაისად წლის ბოლოსთვის შევა ექსპლუატაციაში და დამატებით მნიშვნელოვან სიმძლავრეს შესძენს საქართველოს ენერგეტიკულ სისტემას; ეს ძირითადად, საქართველოს მოხმარდება, თუმცა, ზაფხულში თუ ჭარბი წარმოება იქნება, ექსპორტზეც გავა.“

„საპარტნიორო ფონდის“ აღმასრულებელი დირექტორის ირაკლი კოფჩანაძის განცხადებით, თბოელექტროსადგურის მშენებლობა აქტიურ ფაზაშია გადასული, მოხდა გაზის ტურბინების წარმატებული და დროული ტრანსპორტირება სამშენებლო მოედანზე და დაიწყო მათი მონტაჟი, რაც ამ ტიპის პროექტისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპია.

პროექტის საინვესტიციო ღირებულება 220 მლნ აშშ დოლარია. „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ კომპანიის 51%-ს, ხოლო საპარტნიორო ფონდი 49%-ს ფლობს. თბოელექტროსადგურის მშენებლობას უმსხვილესი თურქული კომპანია - ÇALIK ENERJİ ახორციელებს.<sup>1</sup>

## ევრობანკი საქართველოში კომპრესირებული ბუნებრივი აირის გაზგასამართი სადგურების ინფრასტრუქტურის გაფართოებას დააფინანსებს

„ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა“ (ევრობანკი) თავისი დიდი ხნის კლიენტს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ („ვისოლი“) 65 მილიონი აშშ დოლარის მოცულობის სესხი გამოუყო. სესხი საქართველოს იმ გაზგასამართი სადგურების გაფართოებას დაუჭერს მხარს, რომლებიც კლიენტს ტრადიციული საწვავის ეკოლოგიურად უსაფრთხო ალტერნატივას - კომპრესირებულ ბუნებრივ აირს შესთავაზებს.



# European Bank for Reconstruction and Development

სესხის სტრუქტურა შედგება ორ კომპონენტისგან: A კატეგორიის კრედიტი 40 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით „ევრობანკის“ მიერ გამოიყოფა, ხოლო B კატეგორიის კრედიტს „ჰოლანდიის განვითარების ბანკი“ გამოჰყოფს 25 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით. საქართველოს კორპორატიულ სექტორში ეს არის სინდიცირებული სესხის გამოყოფის პირველი შემთხვევა, რომელშიც ადგილობრივი კერძო პარტნიორი და საერთაშორისო ბანკი მონაწილეობენ.

სინდიცირებული სესხი მოხმარდება „ვისოლის“ ამბიციურ საინვესტიციო პროგრამას, რომელიც მიზნად ისახავს თანამედროვე დანადგარებით აღჭურვილი კომპრესირებული ბუნებრივი აირის 38-მდე ახალი გაზგასამართი სადგურის გახსნას.

<sup>1</sup> <http://gogc.ge/ge/page/gardabnis-shereuli-ciklis-tboeleqtrosadguris-teritoriaze-gazis-turbinebis-montaji-daiwyo>

პროგრამა ასევე გააუმჯობესებს კომპანიის არსებული სადგურების ინფრასტრუქტურას, უზრუნველყოფს რა სხვა საწვავთან ერთად კომპრესირებული ბუნებრივი აირის შეთავაზებასა და თანამედროვე ენერგოეფექტური ტექნოლოგიების გამოყენებას. პროექტი ხელს შეუწყობს „ვისოლის“ სადგურებს, შეესაბამებოდნენ მაღალ გარემოსდაცვით სტანდარტებს. ევროკავშირის სამეზობლო საინვესტიციო მექანიზმის დაფინანსებით „ვისოლს“ ჩატარებული აქვს ენერგო აუდიტი, რომელიც „კორპორატიული სექტორისთვის ენერჯის დამზოგავი პროგრამის“ ფარგლებში განხორციელდა.

„ვისოლის“ ჯგუფის წევრი „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“ საქართველოში ერთ-ერთი უმსხვილესი ბიზნეს ჯგუფია, რომელიც ერთ-ერთ ლიდერად გვევლინება ნავთობპროდუქტების დამოუკიდებელ კერძო იმპორტიორთა და დისტრიბუტორთა შორის. მას ქვეყნის სარეალიზაციო ბაზრის მნიშვნელოვანი წილი უჭირავს.

„ევრობანკის“ კავკასიის, მოლდოვისა და ბელარუსის რეგიონალურმა დირექტორმა ბრუნო ბალვანერამ თბილისში პროექტზე შეთანხმების ხელმოწერისას განაცხადა: „გვახარებს ამ ახალი პროექტისა და ჩვენი დიდი ხნის პარტნიორის „ვისოლის“ მხარდაჭერის შესაძლებლობა საწვავის თანამედროვე საცალო ბაზრის განვითარების პროცესში. ეს პროექტი უზრუნველყოფს, რომ ქართველმა მომხმარებელმა ბენზინის უფრო ეკონომიური და ეკოლოგიურად უსაფრთხო ალტერნატივის გამოყენება შეძლოს.“

„ჰოლანდიის განვითარების ბანკის“ მთავარმა საინვესტიციო ოფიცერმა ლინდა ბროკჰუზენმა დასძინა: „გვეამაყება ჩვენს პარტნიორებთან მუშაობა საქართველოში გარემოსდაცვითი სტანდარტების გასაუმჯობესებლად. ეს საინვესტიციო პროგრამა „ვისოლს“ საშუალებას მისცემს, შემდგომი ნაბიჯები გადადგას ენერგოეფექტურობის კუთხით წინსვლის გზაზე“.

„ვისოლ ჯგუფის“ პრეზიდენტმა სამსონ ფხაკაძემ აღნიშნა, რომ „ეს მნიშვნელოვანი მოვლენაა არა მხოლოდ „ვისოლის“ ჯგუფისთვის, არამედ მთელი ქვეყნის ეკონომიკისთვის. გვეამაყება, რომ ვართ კორპორატიულ სექტორში პირველი ქართული კომპანია, რომელმაც სინდიცირებული სესხი მიიღო. ეს პროექტი საშუალებას მოგვცემს შევქმნათ მეტი სამუშაო ადგილი, შევთავაზოთ მომხმარებელს უფრო სუფთა და უსაფრთხო საწვავი და გავაუმჯობესოთ ენერგოეფექტურობა ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობაში. მაღლობას ვუხდით „ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს“ და „ჰოლანდიის განვითარების ბანკს“ „ვისოლის“ უმაღლესი ხარისხისკენ სწრაფვის განსაკუთრებული მხარდაჭერისთვის.“

ეს საინვესტიციო პროგრამა შეესაბამება „ევრობანკის“ სტრატეგიას, დააფინანსოს საწვავის მაღალხარისხიანი, დამოუკიდებელი საცალო-სარეალიზაციო

ობიექტების განვითარება და გაფართოება სექტორში კონკურენციის გაზრდის პარალელურად. პროგრამა ასევე ასახავს „ევრობანკის“ მიზანს კერძო სექტორის სტიმულირებისა და საუკეთესო გარემოსდაცვითი პრაქტიკის დანერგვის ნაწილში.

„ევრობანკი“ საქართველოში ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან საქმიანობს. დღესდღეობით ინვესტიციები უკვე ჩადებულია 169 პროექტში და ქვეყნის ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში ჯამური კაპიტალდაბანდების ოდენობა 2 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს. საქართველოში „ევრობანკის“ ერთ-ერთი პრიორიტეტია კერძო სექტორის მდგრადი განვითარების ხელშეწყობა.<sup>2</sup>

## 2014 წლის მაისის თვის ანგარიშსწორების მაჩვენებლები

2014 წლის აპრილის თვეში ესკო-ს მეშვეობით შესყიდულმა (გაყიდულმა) საბალანსო ელექტროენერჯის რაოდენობამ 39 275 795.7 კვტ.სთ შეადგინა, რაც აღნიშნულ თვეში ქსელში მთლიანი მიწოდების 4.15%-ს წარმოადგენს. საბალანსო ელექტროენერჯის ღირებულებამ 459 526.8 ლარი შეადგინა.

აპრილში საბალანსო ელექტროენერჯის საშუალო შეწონილმა ფასმა ერთ კილოვატ საათზე 1.17 თეთრი შეადგინა. ესკო-ზე გაყიდული საბალანსო ელექტროენერჯია მთლიანად შედგება ჰიდროელექტროსადგურების მიერ წარმოებული ელექტროენერჯისაგან (100 %).

მაისში დერეგულირებული ელექტროსადგურების საბალანსო ელექტროენერჯის ფასმა კი 1.17 თეთრი/კვტ.სთ შეადგინა.

2014 წლის მაისში ესკო-დან საბალანსო ელექტროენერჯის შესყიდვა განახორციელეს გამანაწილებელმა ენერგოკომპანიამ და პირდაპირმა მომხმარებელმა. მათი წილობრივი მონაწილეობა საბალანსო ელექტროენერჯის შესყიდვაში, შესაბამისად, 66.72%-სა და 33.28%-ს შეადგენს.

მაისის თვეში გარანტირებული სიმძლავრის სამივე წყაროს მიერ ფაქტობრივად უზრუნველყოფილი გარანტირებული სიმძლავრის მთლიანი ღირებულება იყო 3 249 203 ლარი, ხოლო გარანტირებული სიმძლავრის შემსყიდველი კვალიფიციური საწარმოების მიერ ყოველ მოხმარებულ კილოვატსაათზე გადახდილმა გარანტირებული სიმძლავრის საფასურმა 0.39045779 თეთრი შეადგინა.<sup>3</sup>

<sup>2</sup> <http://wissol.ge/index.php?geo&cat=50&id=499&type=1>

<sup>3</sup> [http://esco.ge/index.php?article\\_id=139&clang=0](http://esco.ge/index.php?article_id=139&clang=0)

## სომხეთში ელ.ენერჯის ტარიფი ძვირდება

სომხეთის მთავრობას ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციის გაუარესებასთან ბრძოლა მოუწევს, რადგანაც პირველი აგვისტოდან ელექტროენერჯის ფასების 10%-ით ზრდას გეგმავს. აღსანიშნავია, რომ ელ.ენერჯის ტარიფის ზრდა სხვა საქონლისა და მომსახურების ფასებსაც გაზრდის ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის 1/3 სიდარბეში ცხოვრობს.



საჯარო სამსახურის მარეგულირებელი კომისიის განცხადებით, ტარიფის ზრდა გარდაუვალი იქნება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყნის ელექტროქსელები, რომელთაც 16.6 მლრდ სომხური დრამის (40.3 მლნ აშშ დოლარის) ოდენობის ვალი აქვთ, უმძიმეს ვითარებაში აღმოჩნდებიან.

სომხებს ტარიფი 2013 წელსაც გაეზარდათ და მარეგულირებელი კომისია არ გამორიცხავს, რომ ტარიფი შეიძლება 2015 წელსაც გაიზარდოს.

ადგილობრივი ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ტარიფის ზრდა უარყოფით შედეგებს გამოიწვევს, კერძოდ, კი ეს ნეგატიურად იმოქმედებს ქვეყნის ტყიან ადგილებზე.

ექსპერტები ასევე მიიჩნევენ, რომ სომხეთი მოძველებული ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის გამო ენერგოდეფიციტის ზღვარზეა. დაახლოებით 1.5 მლრდ აშშ დოლარია საჭირო სისტემის მოდერნიზებისთვის, თუმცა მთავრობას ამ თანხის გამოყოფის საშუალება არ გააჩნია.

„არ არის სასიამოვნო საზოგადოების უკმაყოფილების გამოწვევა, მაგრამ თუ ჩვენ ამას დღეს არ გავაკეთებთ, თქვენ 2-3 წელიწადში შეგვეკითხებით, თუ რატომ მივიყვანეთ ენერგეტიკული სისტემა ამ დონემდე,“ - განაცხადა კომისიის ხელმძღვანელმა.

პირველი აგვისტოდან ფასები კვტ.სთ-ზე 3.8-4.3 სომხური დრამით, ანუ დაახლოებით 1 აშშ ცენტით გაიზრდება. ექსპერტები და ოპოზიციის წევრები აცხადებენ,

რომ ეს საკმაოდ დიდი ზრდაა და აუცილებლად გამოიწვევს საზოგადოების უკმაყოფილებას.<sup>4</sup>

## აზერბაიჯანში ნავთობისა და გაზის კონდენსატის მოპოვება 18 მლნ ტონას აღწევს

2014 წლის იანვარი-მაისის თვეებში აზერბაიჯანმა 17.7 მლნ ტონა ნავთობისა და გაზის კონდენსატი მოიპოვა, 2013 წლის იმავე პერიოდში კი მოპოვება 18.12 მლნ ტონა იყო.

ქვეყანამ 2013 წელს 43.1 მლნ ტონა, ხოლო 2012 წელს 42.98 ტონა ნავთობისა და გაზის კონდენსატი მოიპოვა.

ნავთობისა და ბუნებრივი აირის დიდი ნაწილი აზერი-ჩირაგ-გუნეშლისა და კასპიის ზღვის აზერბაიჯანის სექტორში მდებარე შაჰ-დენიზის საბადოდან მოიპოვებს, რომელთაც ქვეყანა უცხოელ ინვესტორებთან ერთად ავითარებს.

ამასთანავე, აზერბაიჯანმა 2014 წლის იანვარი-მაისის პერიოდში 7.6 მლრდ კუბ.მ.

გათხევადებული ბუნებრივი აირი აწარმოა, ხოლო 2013 წლის იმავე პერიოდში - 7.4 მლრდ კუბ.მ.

2013 წელს გათხევადებული ბუნებრივი აირის წარმოებამ 17.9 მლრდ კუბ.მ ხოლო 2012 წელს 17.24 მლრდ კუბ.მ შეადგინა.



ენერგორესურსებით მდიდარ სამხრეთ კავკასიის ქვეყანაში - აზერბაიჯანში ბუნებრივი აირის დამტკიცებული რეზერვი 2.25 ტრილიონი კუბური მეტრი, ხოლო ნავთობის დამტკიცებული რეზერვი 2 მლრდ ტონაა. ქვეყანაში გაზის სავარაუდო რეზერვი 6 ტრილიონი კუბური მეტრია, ხოლო ნავთობის სავარაუდო რეზერვი - 4 მლრდ ტონა.

მსოფლიოში ბუნებრივი აირის ერთ-ერთი უდიდესი საბადო შაჰ-დენიზი 1999 წელს აღმოაჩინეს. მისი სავარაუდო რეზერვის მოცულობა 1.2 ტრილიონი კუბ.მ. ბუნებრივი აირია. საბადო აზერბაიჯანისთვის, საქართველოსთვის, თურქეთისა და ევროპისათვის ბუნებრივი აირის უსაფრთხო და საიმედო მიმწოდებელია.

აზერი-ჩირაგ-გიუნეშლის საბადოზე სამუშაოები 1997 წელს დაიწყო. თავდაპირველად მოპოვება ჩირაგის ნაწილზე დაიყო, შემდეგ 2005-2006 წლებში კი მას

<sup>4</sup><http://www.azernews.az/analysis/67917.html>;  
[http://armenianow.com/economy/55129/armenia\\_electricity\\_prices\\_increase](http://armenianow.com/economy/55129/armenia_electricity_prices_increase)



აზერის პროექტიც მოჰყვა ცენტრალური, დასავლეთი და აღმოსავლეთი ნაწილებით. დრმა წყალში მდებარე გიუნეშლის საბადოდან მოპოვება კი 2008 წლის აპრილში დაიწყო.<sup>5</sup>

## თურქეთის ენერგეტიკის მინისტრის განცხადებით, ირანის მიერ ბუნებრივ აირზე ფასდაკლება არ არის საკმარისი

თურქეთისა და ირანის ბიზნეს ფორუმზე, რომელიც ანკარაში გაიმართა, თურქეთის ენერგეტიკის მინისტრმა თანერ ილდიზმა განაცხადა, რომ ირანის მიერ მომზადებული 4-გვერდიანი დოკუმენტი, სადაც ის ქვეყანას ფასდაკლებას სთავაზობს, თურქეთისთვის საკმარისი არ არის.

ილდიზმა ასევე თქვა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ირანმა თურქეთს ბუნებრივი აირის ფასთან დაკავშირებული ხუთ-თვიანი საარბიტრაჟო დავის შეწყვეტა მოსთხოვა, ქვეყანა არ აპირებს საარბიტრაჟო მოლაპარაკებების პროცესის დასრულებას.



შეგახსენებთ, რომ ბოლო დათმობა ირანის მხრიდან 2 თვის წინ მოხდა, როცა ქვეყანამ თურქეთს გარკვეული ფასდაკლება შესთავაზა იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი გაზრდიდა შესყიდული ბუნებრივი აირის მოცულობას. თუმცა, ილდიზი აცხადებს, რომ ირანის შეთავაზებაში

არ დევს ფასდაკლების კონკრეტული ციფრი და ეს დოკუმენტი გაურკვეველია.

მინისტრის ცნობით, ირანსა და თურქეთს შორის ბუნებრივი აირის საკითხზე მოლაპარაკებები შემდეგ კვირაში გაგრძელდება.

თურქეთში ენერჯიაზე დიდი მოთხოვნაა და ის ირანიდან წლიურად 10 მლრდ კუბ.მ. ბუნებრივ აირს ყიდულობს და ათას კუბურ მეტრ გაზში 507 აშშ დოლარს იხდის. თურქეთის მთავრობას ირანთან მუდმივად პრეტენზიები აქვს ბუნებრივი აირის მაღალი ფასისა და მიწოდების უსაფრთხოების არარსებობის გამო, რაც აფერხებს ხოლმე ბუნებრივი აირის ნაკადებს.<sup>6</sup>

<sup>5</sup> [http://www.azernews.az/oil\\_and\\_gas/67950.html](http://www.azernews.az/oil_and_gas/67950.html)

<sup>6</sup> <http://www.hurriyetdailynews.com/irans-gas-discount-not-enough-turkey.aspx?pageID=238&nID=67631&NewsCatID=348>

### მოსკოვი, კიევი და ბრიუსელი რუსული გაზის საკითხს იხილავენ

მოსკოვმა, კიევმა და ბრიუსელმა რუსული გაზის მიწოდებაზე მოლაპარაკებები გასულ კვირას განაახლეს, რათა ფასებზე წამოჭრილი დავა გადაწყვიტონ. სამხრეთი მოლაპარაკებების ერთ-ერთი ეტაპი ბრიუსელში 9 ივნისს გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა რუსეთის ენერჯეტიკის მინისტრმა ალექსანდრე ნოვაკმა, მისმა უკრაინელმა კოლეგამ იური პროდანმა და ევროკავშირის ენერგო კომისარმა გიუნტერ იოტინგერმა მიიღეს.

გასულ კვირას ბერლინში რუსული Gazprom-ისა და უკრაინის სახელმწიფო ენერგო კომპანია Naftogaz-ის წარმომადგენლებმა 2 დღიანი შეხვედრა გამართეს მხარეებს შორის არსებული დავის

მოსაგვარებლად, რათა ამან საფრთხე არ შეუქმნას ევროპისთვის გაზის მიწოდებას. უკრაინა და რუსეთი Naftogaz-ის მიერ გაზის მიწოდებაზე არსებული დავალიანების გადახდაზე ვერ თანხმდებიან. კიევი არ ეთანხმება მოსკოვის გადაწყვეტილებას, ყოველი 1000 კუბ.მ მიწოდებული ბუნებრივი გაზის საფასურის გაორმაგებაზე (485



აშშ დოლარი), მას შემდეგ რაც უკრაინის პრო-რუსული პრეზიდენტის ვიქტორ იანუკოვიჩის გარშემო ყველასთვის ცნობილი მოვლენები განვითარდა.

9 ივნისის შეხვედრაზე როგორც უკრაინა, ასევე რუსეთიც დიდ იმედებს ამყარებდნენ. 9 ივნისამდე უკრაინის ახალ პრეზიდენტთან პეტრო პოროშენკოსთან საუბრის შემდეგ ვლადიმერ პუტინმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ Gazprom-ი და Naftogaz-ი ფასზე საბოლოო შეთანხმებასთან ძალიან ახლოს არიან და იმედია, მალე მიაღწევენ დავალიანების საკითხზე შეთანხმებასაც. ევროკომისარი გიუნტერ იოტინგერი კი ამ პროცესში მედიატორის როლს ასრულებს, თუმცა იოტინგერის განცხადებით, მხარეებმა შეთანხმებას კვლავ ვერ მიაღწიეს.

BBC-ის თანახმად, ბრიუსელში გამართული მოლაპარაკებები 8 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა. კონსულტაციების დაწყების წინ უკრაინის ენერჯეტიკის მინისტრმა იური პროდანმა რეპორტიორებს განუცხადა, რომ კიევი რუსულ გაზში

დავალიანებას მას შემდეგ დაფარავს, რაც ახალ ფასზე მოხდება შეთანხმება. რუსეთის წარმომადგენლები კი აცხადებენ, რომ გაზზე ფასის შესაძლო დაკლების შესახებ კონსულტაციებს მას შემდეგ დაიწყებენ, რაც უკრაინა დაადასტურებს რომ დავალიანების დაფარვას მართლაც აპირებს.

როგორც ცნობილია, გასულ კვირას მხარეები შეთანხმდნენ, რომ მომდევნო კონსულტაციებამდე სასამართლოს არ მიმართავდნენ. რუსეთის მტკიცებით, ამ დროისათვის რუსულ გაზში უკრაინის დავალიანება 5 მილიარდ დოლარს აღემატება.

”ბი-ბი-სის” თანახმად, ”გაზპომმა” კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მზად არის, უკრაინას გაზის მიწოდება შეუწყვიტოს თუ დღეს, მოსკოვის დროით, დილის 10:00 საათამდე 1,9 მილიარდ დოლარს არ გადაიხდის.

ევროკავშირის, უკრაინისა და რუსეთის წარმომადგენლების ბოლო შეხვედრა გაზის საკითხთან დაკავშირებით კვლავ უშედეგოდ დასრულდა.

”ჩვენ შეთანხმებას ვერ მივაღწიეთ. იმის შანსი, რომ კიდევ შევხვდებით ძალიან მცირეა,” - განაცხადა ”გაზპრომის” ოფიციალურმა წარმომადგენელმა სერგეი კუპრიანოვმა.<sup>7</sup>

## რუსეთი ბირთვული ენერჯის გაფართოებას გეგმავს



2020 წლისთვის რუსეთი ბირთვული ტექნოლოგიების ექსპორტის 53%-ით ზრდას გეგმავს, რათა ბაზარზე რუსული ბირთვული კომპანიების საბაზრო წილი გაზადროს და დარგი საერთაშორისო დონეზე უფრო კონკურენტული გახადოს. ეს მიზანი მთავრობის მიერ გამოქვეყნებულ „2020 წლამდე ბირთვული სექტორის განვითარების სტრატეგიაში“ განხილული. აღნიშნული გეგმა მთავრობის მიერ შედგენილი გრძელვადიანი მოდერნიზაციის პროგრამის ნაწილია. აღნიშნული დოკუმენტი ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითარებისთვის ბირთვული ენერჯის უსაფრთხო გამოყენებას გულისხმობს, რომლის მიზანია ბირთვული სადგურების გენერაციის განვითარება მისი უსაფრთხოების მდგრადობის ფონზე.

2020 წლამდე ქვეყანა ბირთვული სიმძლავრის 28,100 მგვტ-მდე ზრდას ვარაუდობს, მაშინ როცა ექსპლუატაციიდან 10,800 მგვტ. სიმძლავრის რეაქტორები გამოვა. მთავრობის დოკუმენტის მიხედვით, 10 ახალი რეაქტორის მშენებლობაა

<sup>7</sup> <http://news.ge/ge/news/story/93686-ruseti-ukrainisatvis-gazis-mitsodebis-shesatsyvetad-emzadeba>

დაგეგმილი. შედეგად, ბირთვული სადგურების გენერაციის ჯამური ოდენობა 2020 წლისთვის სავარაუდოდ 184.3 მლრდ.კვტ.სთ-ს მიაღწევს. 2013 წელს ეს მაჩვენებელი 171.6 მლრდ.კვტ.სთ. იყო.

მოდერნიზაციის პროგრამის განხორციელების ღირებულება 26.2 მლრდ აშშ დოლარს შეადგენს. წარმოდგენილი დოკუმენტი ქვეყნის ბირთვული სააგენტო Rosatom-ის მიერ მომზადდა, რომელიც 250-მდე ბირთვულ ენერჯისთან დაკავშირებულ კომპანიებსა და სხვადასხვა კვლევით ორგანიზაციებს აერთიანებს 300,000 დასაქმებული ადამიანით.<sup>8</sup>

## Uzbekneftegaz-ი გაზის 2 ახალ საბადოს ხსნის

უზბეკეთის სახელმწიფო ჰოლდინგურმა კომპანია Uzbekneftegaz-მა 2014 წლის პირველ კვარტალში ორი ახალი გაზის საბადო გახსნა, ჯამურად 20 მლნ ტონა ნახშირწყალბადების რეზერვით. კვლევითი სამუშაოების დროს 2 გაზის და ერთი კონდენსატის საბადო იქნა აღმოჩენილი, რომლებიც მთლიანად სახელმწიფო კომპანიის ბალანსზეა აყვანილი. ჰოლდინგის ცნობით, 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ქვეყნის ნახშირწყალბადების რეზერვი 2.5 მლრდ ტონას შეადგენს, რომლის 65% გაზის მარაგებია. უზბეკეთის 2013-2020 წლების ნავთობისა და გაზის სექტორის განვითარების კონცეფცია ჰიდროკარბონების მარაგების 24.5%-ით ზრდას, 3.16 მლრდ ტონამდე გულისხმობს. კერძოდ, დაგეგმილია გაზის რეზერვების 488.5 მლრდ.კუბ.მ-ით და თხევადი ნახშირწყალბადების 41.7 მლნ. ტონით ზრდა.<sup>9</sup>

## ევროპა

### 2020 წლისთვის ფრანგული ბირთვული ენერჯია განახლებადებზე მჭირი იქნება



გარემოს შემსწავლელი ჯგუფის Greenpeace-ის კვლევის მიხედვით, ათწლეულის მიწურულს მზისა და სახმელეთო ქარის სადგურების მიერ გამომუშავებული ელ.ენერჯია განახლებული ბირთვული სადგურების მიერ წარმოებულ ელ.ენერჯიაზე უფრო მეტად კონკურენტუნარიანი იქნება. აღნიშნული

<sup>8</sup> NewsBase Energo, CEE/FSU Power Monitor, Issue 717, 11 June 2014, Russia aims for nuclear expansion

<sup>9</sup> NewsBase FSU, Oil & Gas Monitor, Issue 786, 11 June 2014, Uzbekneftegaz opens two new gas fields

კვლევა გავრცელდა ერთი კვირით იმაზე ადრე, ვიდრე საფრანგეთის ენერგეტიკის მინისტრი სეგოლენ როიალი ქვეყნის ენერგეტიკული კანონის პრეზენტაციას გააკეთებდა, რომელიც 2025 წლისთვის ბირთვული ენერჯის წილის ამჟამად არსებული 75%-დან 50%-მდე შემცირებას ითვალისწინებს.

პარლამენტის კომიტეტის მიერ გამოქვეყნებულ მოხსენებაში ძირითადად საქმე ეხება საფრანგეთის ბირთვული ენერჯის მზარდ ხარჯებს და იმას, რომ მთავრობამ უნდა შექმნას დამოუკიდებელი საექსპერტო ინსტიტუტი გრძელვადიანი ენერგეტიკული ინვესტიციების დასაგეგმად. Greenpeace-ის კვლევის მიხედვით, ინვესტიციები საჭიროა ფრანგული ენერჯო კომპანია EDF-ის 58 ბირთვული რეაქტორის გასარემონტებლად, რათა მოხდეს მისი დაახლოება ახალი თაობის EPR ტიპის რეაქტორების უსაფრთხოების დონესთან, რაც გამომუშავებული ყოველი მგვტ.სთ-ის ღირებულებას 180 აშშ დოლარამდე გაზრდის.

არსებული რეაქტორების სიცოცხლის ხანგრძლივობის 10-დან 50 წლამდე გაზრდა და თითოეულ რეაქტორზე 4.4 მლრდ აშშ დოლარის ღირებულების სამუშაოების ჩატარება 2015 წლისთვის ბირთვულ ენერჯიას ნაკლებ კონკურენტულს გახდის სახმელეთო ქარის სადგურებთან შედარებით. კვლევის მიხედვით, ფოტოელექტრული ენერჯის ღირებულება 2019 წლისთვის ყოველ მგვტ.სთ-ზე 134 ევრომდე შემცირდება, რაც განახლებულ ბირთვულ რეაქტორებთან შედარებით უფრო კონკურენტული იქნება.

სახელმწიფო კომპანია EDF-მა რამდენიმე თვის წინ განაცხადა, რომ ფუკუშიმას გამოცდილებიდან გამომდინარე, კომპანია 2025 წლისათვის რეაქტორების მოდერნიზაციასა და სამუშაო ციკლის გახანგრძლივების მიზნით 55 მლრდ ევროს ინვესტირებას გეგმავდა, თუმცა სახელმწიფო აუდიტორის ბოლო თვეს გაკეთებული შეფასების თანახმად, ეს თანხა არ იქნება საკმარისი და ამიტომ EDF-მა ეს ციფრი 62.5 მლრდ ევრომდე გაზარდა.<sup>10</sup>

## Gazprom-ი ლიტვაში წილების გაყიდვაზე თანახმაა

რუსული Gazprom-ი ლიტვური გაზის კომპანია Lietuvos Dujos-ისა და გაზის ქსელის ოპერატორის Amber Grid-ის წილებს ლიტვის სახელმწიფო კომპანიაზე გაყიდის,



<sup>10</sup> <http://www.evwind.es/2014/06/12/french-nuclear-more-costly-than-renewables-by-2020/45865>

რასაც ვილნიუსი მიესალმება და ამით ბალტიის ქვეყანას ენერგოუსაფრთხოების ამალების შესაძლებლობა გაუჩნდება. „მას შემდეგ რაც აღნიშნული კომპანიების გაყიდვა მოხდება, ქვეყანას საშუალება ექნება ევროკავშირის მესამე ენერგო პაკეტის მიზნები სრულად განახორციელოს. ეს ნაბიჯი ლიტვისთვის ბუნებრივი აირის მიწოდების წყაროების დივერსიფიცირების შესაძლებლობებს შექმნის, ასევე შეიქმნება საბაზრო პრინციპებზე დაფუძნებული გაზის სექტორი და ქვეყანა სრულ კონტროლს მიიღებს სექტორის განვითარების ინფრასტრუქტურულ პროექტებზე“ - განაცხადა ლიტვის ენერგეტიკის მინისტრმა იაროსლავ ნევეროვიჩმა.

# Amber Grid



ლიტვა ძლიერ დამოკიდებულია რუსეთზე. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ პოლიტიკური ურთიერთობა მხარეებს შორის საკმაოდ არასტაბილურია. ბალტიის ქვეყანამ დიდ გამარჯვებას მიაღწია Gazprom-თან, როცა ამ უკანასკნელმა ბუნებრივი აირის ფასი 20%-ით შეამცირა. პრეზიდენტმა დალია გრიბაუსკაიტემ რუსეთის მისამართით ერთგვარი გაფრთხილება გააჟღერა, სადაც აღნიშნული იყო, რომ იგი ყველაფერს გააკეთებს ვილნიუსის დამოუკიდებლობის დასაცავად. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ რუსეთის მიმდინარე დათმობები ქვეყნებს შორის ურთიერთობებს, სავარაუდოდ, გააუმჯობესებს.

„ვიმედოვნებთ, რომ ზემოთ აღნიშნული ლიტვური კომპანიების მენეჯმენტიდან გასვლის შემდეგაც Gazprom-ი მათთვის საიმედო პარტნიორი იქნება გაზის სექტორში და ურთიერთობები კომერციული პრინციპების გათვალისწინებით კვლავაც შენარჩუნდება. თავის მხრივ, ლიტვის მხარე მენეჯმენტში დაბრუნებისა და ინფრასტრუქტურაზე კონტროლის მოპოვების შემდეგ უზრუნველყოფს კალინინგრადისთვის გაზის საიმედო ტრანზიტს და გახსნილი იქნება რუსეთის ფედერაციასთან გაზის სექტორში ერთობლივი პროექტების განხორციელების თვალსაზრისით“ - აცხადებს რუსული მხარის წარმომადგენელი.<sup>11</sup>

<sup>11</sup> <http://www.naturalgaseurope.com/gazprom-sale-lithuanian-stakes>

## ზაფხულში ევროკავშირი იძულებული იქნება, განახლებადი ენერჯის გენერაცია შეამციროს

ევროპის მისწრაფება, რომ ენერჯო სისტემა განახლებად ენერჯიაზე იყოს დაფუძნებული, ძალიან შორის წავიდა, რის გამოც შესაძლოა გარკვეული თვეების განმავლობაში მიწოდების სიჭარბის შედეგად გენერაციის შემცირება გახდეს საჭირო. „ქსელის ოპერატორები მოთხოვნის დაბალი დონის შემთხვევაში მზისა და ქარის სადგურების გამომუშავების შეზღუდვას აპირებენ, რათა 302 557 კმ სიგრძის გადამცემი ხაზები გადატვირთვისგან დაიცვან,“ - განაცხადა Entso-e-მ.

ბოლო ათწლეულში ევროპის განახლებადი ენერჯის ხუთმაგმა ზრდამ, ფასები 9 წლიან ისტორიულ მინიმუმდე დაიყვანა, რის შედეგადაც გერმანული RWE-ის და ფრანგული GDF Suez-ის საბაზრო ღირებულება 400 მლრდ. დოლარამდე შემცირდა. გერმანიასა და ავსტრიაში ქარიან და მზიან ამინდში გამომუშავება იმდენად მაღალია, რომ გარკვეულ საათებში მწარმოებლებმა 2014 წლის 5 თვეში მომხმარებლებს იქით გადაუხადეს, რათა ელ.ენერჯის მოხმარება გაეორმაგებინათ.

განახლებადებიდან მიღებული ელ.ენერჯის გენერაციის ასეთი ტემპით ზრდა ევროკავშირის ემისიების შემცირების პოლიტიკის შედეგია, რომლის მიხედვითაც ათწლეულის ბოლოს 1990 წელთან შედარებით ემისიები 20%-ით უნდა შემცირდეს.<sup>12</sup>

## მსოფლიო

### 2013 წელს კანადამ რეკორდული სიმძლავრის ქარის ტურბინები დაამონტაჟა



2013 წელი კანადისათვის ქარის ენერჯის განვითარების რეკორდული წელი იყო. აქ ქარის 23 ახალი პროექტი განხორციელდა, ჯამური დადგმული სიმძლავრით დაახლოებით 1600 მგვტ და ამ მაჩვენებლით მსოფლიოში მე-5 ადგილზე გავიდა.

კანადამ 2013 წელი ქარის სადგურების 7802.72 მგვტ ჯამური დადგმული სიმძლავრით დაასრულა, რომლითაც

<sup>12</sup> <http://www.renewableenergyworld.com/rea/news/article/2014/06/eu-will-be-forced-to-curtailed-renewable-energy-generation-this-summer>

ქვეყნის ელექტროენერჯიაზე მოთხოვნის დაახლოებით 3%, ანუ 2 მილიონზე მეტი კანადური ოჯახი დაკმაყოფილდა ელექტროენერჯით.

2013 წელს ქარის ენერჯის პროექტები განხორციელდა და ექსპლუატაციაში შევიდა კანადის მთელ რიგ პროვინციებში: პრინც ედუარდის კუნძულზე, კვებეკში, ონტარიოში, ბრიტანულ კოლუმბიასა და სასკაჩევანში. 2013 წლის ბოლოსათვის ონტარიოსა და კვებეკს წამყვანი ადგილი ეკავათ ქვეყანაში, ჯამური დადგმული სიმძლავრით დაახლოებით 2500 მგვტ თითოეულს.

მსოფლიო ქარის ენერჯის საბჭოს (GWEC) მოლოდინი აქვს, რომ 2013 წლის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაიზრდება 2014-ში, სულ ცოტა - 47 გვტ-ით. ბაზარზე წამყვან როლს ითამაშებს ჩინეთი, მაგრამ პარალელურად მოხდება აშშ-ს ბაზრის გაძლიერება და რეკორდული რაოდენობის პროექტები განხორციელდება კანადასა და ბრაზილიაში, რასაც დაემატება ასობით მეგავატი სამხრეთ აფრიკაში.

„2014-ში მსოფლიო ბაზარი ძველ კალაპოტს დაუბრუნდა“, - აღნიშნა GWEC-ს გენერალურმა მდივანმა სტივ სოიერმა. „ძლიერი ჩინური ბაზარი, აშშ-ის ხელახალი აღმასვლა და განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნების როლის გაზრდა მსოფლიო ბაზარზე, ნიშნავს იმას, რომ 2014 წლის შემდეგ ბაზარი განახლებს თავის მდგრად ზრდას და საბოლოო ჯამში, მსოფლიო დადგმული სიმძლავრეები ხუთი წლის განმავლობაში გაორმაგდება“.

გასულ წელს ჩინეთისა და კანადის ქარის ინდუსტრიაში დადებითი იმპულსები შეინიშნებოდა, მაშინ როდესაც პროგნოზი აშშ-სთვის ცოტა არ იყოს არაერთგვაროვანი რჩება პოლიტიკური შეუთანხმებლობის გამო. ქარის ოფშორული ინდუსტრია კვლავ ევროპაშია კონცენტრირებული, კერძოდ კი - დიდ ბრიტანეთსა და გერმანიაში.<sup>13</sup>

## ერაყში დამაბულობის გამო ნავთობის ფასი იზრდება

ხუთშაბათს ნავთობის ფასმა უკანასკნელი 9 თვის მაქსიმუმს მიაღწია. ფასების ზრდა ერაყში დამაბულობა ვითარებამ გამოიწვია, რომელიც საფრთხეს უქმნის ქვეყნიდან ექსპორტს. ბარელი ნავთობის ფასმა 106 აშშ დოლარს მიაღწია, რაც უმაღლესი ფასია 2013 წლის სექტემბრის შემდეგ.

ნავთობის გაძვირება ავტომატურად აისახება ნავთობპროდუქტების ფასზე. ნავთობის ფასები მიმდინარე წელს მუდმივად იზრდებოდა. გაზრდილი მოთხოვნა, OPEC-ის შემცირებული წარმოება, უკრაინის კრიზისი - ეს ის ფაქტორებია, რომლებიც ზრდიდა ნავთობის ფასებს. ყველაზე მეტად კი ერაყის უკანასკნელმა კრიზისმა იმოქმედა ფასებზე.


<sup>13</sup> <http://www.evwind.es/2014/06/12/canada-installs-record-wind-energy-capacity-in-2013/45869>



ერაყი დღეში დაახლოებით 3.3 მილიონ ბარელ ნავთობს აწარმოებს, რაც OPEC-ში მეორე მაჩვენებელია საუდის არაბეთის შემდეგ. ასევე ერაყი ნავთობის მარაგებით მსოფლიოში მეოთხე ადგილზეა.

ერაყის ნავთობის ექსპორტი მიმდინარე დამაბულობს გამო უკვე შეიზღუდა. მარტში თავდასხმების გამო ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში დაიხურა ნავთობსადენი, რომელიც ნავთობს თურქეთის საპორტო ქალაქ ჯეიჰანში გადაზიდავს. ასევე მცირედი რაოდენობით ექსპორტი შეიზღუდა მეზობელ იორდანიაში.

## WTI Crude



აპრილში ერაყის ექსპორტი მაინც გაიზარდა, ქვეყნის სამხრეთ რეგიონების საბადოების ხარჯზე. ერაყში მიმდინარე კონფლიქტი კვლავ შეზღუდავს ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილიდან ექსპორტს, მაგრამ ზოგიერთი ექსპერტის აზრით, ერაყის ექსპორტი წელს მაინც გაიზარდება სამხრეთში მდებარე საბადოებზე მოპოვების ზრდით.<sup>14</sup>

## ანალიტიკა

### რამდენ ენერჯიას მოიხმარს 2014 წლის მსოფლიოს თასი ფეხბურთში?

ყოველთვის, როდესაც ვრთავთ ტელევიზორს და ვუყურებთ ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატს, ვიყენებთ დამატებით ენერჯიას. მსოფლიო ჩემპიონატთან ასევე დაკავშირებულია მრავალი სხვა ენერჯო დანახარჯი. გუნდების ფრენები, მსოფლიო თასის პერსონალი და 500 000 გულშემატკივრი დამატებით უზარმაზარი რაოდენობით საავიაციო საწვავს მოიხმარს.

თამაშების დღეს სტადიონების ენერჯით მომარაგება, მილიონობით გულშემატკივრის მასპინძელ ქვეყანაში მოძრაობა, რეპორტაჟების გადაცემა

<sup>14</sup> [http://energy.einnews.com/article/209079475/cFcn5IE8hje\\_HSNP](http://energy.einnews.com/article/209079475/cFcn5IE8hje_HSNP)

მილიარდობით მაყურებლისთვის მთელს მოსფლიოში დამატებით მილიონობით ტონა კარბონის დიოქსიდს აფრქვევს ატმოსფეროში.

ბრაზილიის 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი იქნება ყველაზე მასშტაბური. იგეგმება, რომ ის იყოს ყველაზე ყურებადი, ყველაზე შემოსავლიანი ტურნირი ფეხბურთის ისტორიაში, რაც შესაბამისად მას აქცევს ყველაზე დიდ ენერგო მომხმარებლად და სათბურის გაზების დამგროვებლად მსოფლიო თასების ისტორიაში.

2014 წლის მსოფლიო თასის ჩემპიონატი მოიხმარს იმდენ ენერგიას, რამდენიც საკმარისი იქნებოდა აშშ-ს დაახლოებით ყველა 260 მილიონი ავტომობილისთვის ერთი დღის ან 560 000 ავტომობილისთვის ერთი წლის განმავლობაში.

FIFA-მ გამოაქვეყნა კვლევა, რომელშიც მოცემულია, თუ ძირითადად სად იხარჯება ენერგია მსოფლიო თასის მატჩების ორგანიზების დროს. 60% მოდის პერსონალის საერთაშორისო ფრენებზე, დანარჩენი 40% კი სატვირთოებზე, რომლებსაც გადააქვთ კაბელები, კამერები, ავეჯი და ენერგიაზე, რომელიც საჭიროა ყველა ელექტრო მოწყობილობისთვის. FIFA-ს სატელევიზიო ოპერაციებს წვლილი მიუძღვის 24 670 ტონა



CO<sub>2</sub>-ს გამოფრქვევაში, რაც 2.8 მილიონი გალონი ბენზინის ან 13 250 ტონა ნახშირის წვის ეკვივალენტურია.

FIFA ასევე შეეცადა დაეთვალია იმ ენერგიის სიდიდე და შესაბამისად კარბონის ემისია, რაც საჭიროა სტადიონების ელექტროენერგისთვის, ფან-

ფესტივალებისთვის, ბანკეტებისთვის, სავარჯიშო მოედნებისა და გუნდების სასტუმროებისთვის. ეს ციფრი დაახლოებით 2.72 მილიონი ტონა CO<sub>2</sub>-ია, რაც 306 მილიონი გალონი ბენზინის ან 1.46 მილიონი ტონა ნახშირის წვის ეკვივალენტია.

მაინც რა იყო FIFA-ს ამ კვლევის არსი? FIFA-ს სურდა დაედგინა, სად შეიძლებოდა გაუჯობესება და ემისიების შემცირება შემდეგი ტურნირებისთვის. მაგალითად საერთაშორისო თანამშრომლების 10%-ით შემცირება კარბონის ემისიებს 6%-ით ამცირებს. ეს ციფრები არ შეიცავს სხვა ენერგო ხარჯებს, რომლებიც ასევე დაკავშირებულია მსოფლიო თასთან, მაგალითად ინფრასტრუქტურისა და სტადიონების მშენებლობა.

სტადიონების გარდა ფეხბურთის მთელს მსოფლიოში ტელევიზორებში უყურებენ, რაც ასევე მოქმედებს ენერგიის მოხმარებასა და ემისიებზე.

ასეულობით მილიონი ადამიანი ერთდროულად რთავს ტელევიზორებს და უყურებს მატჩს, რაც განსაკუთრებით ზრდის ენერგიის მოხმარებას. მაგალითად 1990 წლის მსოფლიო თასის ნახევრფინალის დროს ინგლისსა და გერმანიას შორის,

ბრიტანეთში რეკორდული დღიური დატვირთვა დაფიქსირდა. მატჩის დროს ბრიტანეთის ელექტრულმა სისტემამ რეკორდულ 2800 მეგავატ დატვირთვას მიაღწია. ბრიტანეთში სიდიდით მეორე დატვირთვა დაფიქსირდა 2002 წელს, ისევ მსოფლიო თასის მეოთხედფინალური მატჩის ბრაზილია-ინგლისის დროს, 2570 მეგავატი. სიდიდით შემდეგი დატვირთვა ბრიტანეთში 2011 წლის სამეფო ქორწილის დროს დაფიქსირდა, 2400 მეგავატი. ბრიტანეთში ასეთი ღონისძიებების დროს სისტემის მაღალი დატვირთვა ხშირი შემთხვევაა, რასაც სისტემის ოპოერატორი მომზადებული ხვდება.

2014 წლის მსოფლიო თასის ტრანსლაციები ყველა ქვეყანაში გადაიცემა და სავარაუდოდ ყველაზე ყურებადი სპორტული ღონისძიება იქნება სპორტის ისტორიაში. შესაბამისად, ტურნირი ახალ რეკორდს დაამყარებს სათბურის გაზების ემისიითაც.<sup>15</sup>

---

<sup>15</sup> <http://oilprice.com/Energy/Energy-General/How-Much-Energy-Will-the-2014-World-Cup-Consume.html>